განმცხადებელი : მამუკა ტუსკაძე
თარიღი : 16-06-2021

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: **: პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 5;პრინციპი 7;პრინციპი 11**

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები **: ტელეკომპანია ფორმულა და ტელეკომპანია მთავარი არხი**

სადავო მასალა : ორივე ტელევიზიაში ფორმულაზე 20:44 სთზე და მთავარ არხზე 21:26 სთზე 2021 წლის 9 ივნის ერთმანეთის მიყოლებით გავიდა დეზინფორმაციული სიუჟეტი ქონებრივი დავის შესახებ.

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება :

პირველი პრინციპის დარღვევა გამოიხატება იქედან გამომდინარე რომ ორივე ტელევიზიამ ევალება რომ პატივი სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას ზუსტი ინფორმაციის მიღების შესახებ, რაც ეთერში გასულ სიუჟეტებში არ განხორციელებულა. ანუ სრული დეზინფორმაცია მხარის მხრიდან იქნა ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე გასული და მხოლოდ ზეპირი განცხადებები, ხოლო ჩემს მიერ წარდგენილი დოკუმენტები საერთოდ არ იქნა გამოყენებული სიუჟეტში. მესამე პრინციპის დარღვევაა ის რომ დაუდასტურებელი წყაროს მეშვეობით, ანუ მხოლოდ ზეპირი ინფორმაციაზე დაყრდნობით გავიდა სიუჟეტი და არავინ არავის არ მოთხოვა რამე სახის დოკუმენტი მათი ნათქვამის დასადასტურებლად, კერძოდ არ მოთხოვეს რამე საბუთი ამონაწერი რეესტრიდან ან სხვა დოკუმენტი სამივე მოქალაქეს რომ მართლა იყო მისი და გაუყიდა მამუკა ტუსკაძემ, ან გაყალბდა დოკუმენტი და ექსპერტიზის მიერ არის ეს ფაქტი დადგენილი, ან ხარჯები რომელიც მშენებლობას სჭირდება მხოლოდ 16000 ლარია და ამით დასტურდება მისი ინვესტორობა, არ მოიძიეს დოკუმენტები შემოსავლების სამსახურიდან, არ იყო კომენტარი საგამომძიებლო ორგანოებიდან. ანუ სრულად დაირღვა ქარტიის მესამე პრინციპი. მეხუთე პრინციპი დაირღვა რადგან მიუხედავად ჩემი მიმართვისა მათ არ გაასწორეს ინფორმაცია ხარჯთაღრიცხვაზე, მათ არ დაიტოვეს ჩემი დოკუმენტები საჯარო რეესტრიდან და ამით დატოვეს საზოგადოება შეცდომაში შეყვანილად. მეშვიდე პრინციპის დარღვევა ისა რომ მოახდინეს ჩემი როგორც პოლიტიკოსისა და სამოქალაქო აქტივისტის, უფლებადამცველისა და იურისტის დისკრიმინაცია, ამბობდნენ რომ თითქოს მე მხარის ადვოკატი ვიყავი და ბოროტად გამოვიყენე მისი ნდობა. მეთერთმეტე პრინციპის დარღვევაა ის რომ ამ არხების ამ სიუჟეტების მომმზადებელმა ჟურნალისტებმა და პროდიუსერებმა ეცადნენ და გამოუვიდათ კიდეც ფაქტების განზრახ დამახინჯება, რეალურად ცრუ ინვესტორისგან შექმნეს ინვესტორის იმიჯი, არსად არ ახსენეს რომ 8 წლის მანძილზე ე.წ. ინვესტორმა 284 ათასი ლარის დახარჯვა შეძლო მხოლოდ რაც სინამდვილეში კორპუსის ლიფტის ფასია. და ასევე სხვადახვა ასევე თითქოს ქრთამის აღებას ქონდა ადგილი. მოკლედ ქარტიის უმნიშვნელოვანესი მუხლების დარღვევას ქონდა ადგილი და გთხოვთ განიხილოთ ჩემი განცხადება.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები